პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნის და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


26 მაისის ბოულევარი
ვაჟა-ფშაველას ქუჩა
ზაზიშვილის ქუჩა
ბოლოქვეშილის ქუჩა
1 : 15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეკატერინე ჩანადირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

წერილის ნომერი:**03-032527415**
თარიღი: **01/10/2025**

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით, მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნისა და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ნოე რამიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

2024 წლის 24 მაისს, საკრებულოს განკარგულებით, 26 მაისის მოედანთან არსებულ სკვერს მიენიჭა ქართველი პოლიტიკოსისა და დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრის, საფრანგეთში საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელის სახელი. სკვერში ასევე განთავსდა აკაკი ჩხენკელის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია (ბიუსტი).

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ შესწავლილი იქნა 26 მაისისმოედნისა და აკაკი ჩხენკელის სკვერის მიმდებარე ტერიტორია, როგორც დგინდება, არსებული სარეკრეაციო სივრცეები იძლევა შესაძლებლობას, მათი სახელდება განხორციელდეს კომპლექსური მიდგომით და შერჩეული სახელწოდებები თემატურად დაუკავშირდეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ნოე რამიშვილის სახელი.

ნოე რამიშვილმა 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, იმავე დღეს აირჩიეს ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველ თავმჯდომარედ. ამ პოსტზე 24 ივნისს შეცვალა ნოე ჟორდანიამ, ხოლო ნოე რამიშვილი დარჩა შინაგან

საქმეთა, განათლების და სამხედრო მინისტრად. 1918 წლის განმავლობაში იყო პარლამენტის წევრი, 1919 წლის თებერვლიდან არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, რამიშვილი საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია. იყო ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში საქართველოს ოკუპაციის საკითხის პროპაგანდისთვის შექმნილი კომისიის წევრი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური ორგანიზატორი. 1924 წლის სექტემბერში აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქართველოს სსრ-ის ხელისუფლებამ მოახდინა მისი ქონების კონფისკაცია. 1930 წელს "ჩეკას" დავალებით მოკლეს პარიზში, იტალიის მოედანზე. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

სკვერისთვის ნოე რამიშვილის სახელის მინიჭების მიზნით გთხოვთ, უზრუნველყოთ საჭირო ღონისძიებების გატარება, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527435**
თარიღი: **01/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგანტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედნისა და აკაკი ჩხენკელის სკვერთან არსებული უსახელო სკვერისთვის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნოე რამიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოაღნიშნული სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ნოე რამიშვილი

(1881-1930)

ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე. ცნობილი იყო პარტიული ფსევდონიმებით „პეტრე“, „ტფილისელი პეტრე“, „ბორცოვი“

ნოე რამიშვილი დაიბადა 1881 წლის 5 აპრილს ოზურგეთის მაზრაში, მთაგორიან სოფელ დიდვანში, გლეხის ოჯახში. მისი მამა, ბესარიონ რამიშვილი, ხის სახლების აშენების ოსტატი იყო. ბესარიონ რამიშვილს და მაკა მგელაძეს ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. ნოე მესამე ვაჟი იყო. 1887 წელს შევიდა სოფლის დაწყებით სკოლაში, სადაც ასწავლიდა ისიდორე რამიშვილი. 1890-1894 წლებში სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. 1894 წელს სწავლა გააგრძელა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1900 წელს ჩაირიცხა იურიევის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო გარიცხეს 1901 წლის 3 მარტს. იქვე გახდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. 1902 წლის თებერვალში აღადგინეს, მაგრამ რევოლუციური გამოსვლებისათვის საბოლოოდ გარიცხეს და გადაასახლეს კავკასიაში. საქართველოში დაბრუნებულმა დაიწყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. ცხოვრობდა ბათუმში, ატარებდა კერძო გაკვეთილებს, ჩაერთო რსდმპ ბათუმის კომიტეტის მუშაობაში. 1903 წლის ივნისში მონაწილეობდა რსდმპ-ის გურიის კომიტეტის ჩამოყალიბებაში რამიშვილი იქცა ბათუმისა და გურიის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად. 1903 წელს მოამზადა არალეგალური წიგნაკი „სალდათობა“. 1904 წელს დატოვა ბათუმი და დასახლდა თბილისში არალეგალური პასპორტით, აპოლონ სოფრომის ძე ლომაძის სახელით. იქ გახდა რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი. 1904 წლის 3 ოქტომბერს დააპატიმრეს და გაგზავნეს ბათუმში. 18 ოქტომბერს მგზავრთა დახმარებით საბარგო სადგურზე ბადრაგს გაექცა. არალეგალურად ცხოვრობდა დონის როსტოვსა და

ნოვოროსიისკში. იქ აგრძელებდა პარტიულ მუშაობას, იყო რსდმპ დონის კომიტეტის წევრი. პარტიაში განხეთქილების დაწყების შემდეგ მიემხრო მენშევიკებს. მონაწილეობდა მენშევიკებისა და ბოლშევიკების დებატებში ბათუმში, ჭიათურაში, ხიდისთავში.

1905 წლის თებერვალში დაბრუნდა თბილისში. მენშევიკთა ორგანიზაციების არალეგალურ ყრილობაზე ის აირჩიეს ბიუროს წევრად. იყო რსდმპ(მ) კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი. ნოე რამიშვილი ცნობილი იყო ორატორული ნიჭით, აქტიურად გამოდიოდა დისკუსიებზე ბოლშევიკების წინააღმდეგ და მონაწილეობდა პროვინციებში გამართულ დისკუსიებში ბოლშევიკთა გავლენის შესამცირებლად. ნოე ჟორდანიასთან ერთად ხელმძღვანელობდა მენშევიკების არალეგალურ ჟურნალ „სოციალ-დემოკრატს". 1905 წლის რევოლუციის დროს იყო ერთ-ერთი ლიდერი და ორგანიზატორი თბილისში, ჩართული იყო შეიარაღებული „წითელი რაზმების" ფორმირებაში. „ოხრანკის" მასალებში მოიხსენიებდნენ რევოლუციური ტერორის მამად. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, მაგრამ ახერხებდა თავის დახსნასა და იატაკქვეშა მოძრაობაში დაბრუნებას. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხელმძღვანელობდა დასუსტებული ორგანიზაციების აღდგენას. 1907 წელს, ლონდონში რსდმპ-ის V ყრილობაზე მონაწილეობდა როგორც თბილისის ორგანიზაციის დელეგატი, აირჩიეს ცკ-ის წევრად მენშევიკებისგან.

1908–1910 წლებში ცხოვრობდა გერმანიაში, იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი. მისი ინტერესის სფერო იყო ეკონომიკური მეცნიერება და ფილოსოფია. 1908 წელს ლაიფციგიდან ჟენევაში ჩავიდა რსდმპ ცეკა-ს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც დაუპირისპირდა სტალინს, რასაც ამ ორს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა.[3] 1910 წელს დაბრუნდა საქართველოში. 2 ნოემბერს დააპატიმრეს და გადაასახლეს დონის როსტოვში. იყო როსტოვში ქართველ გადასახლებულთა კოლონიის ხელმძღვანელი. 1911 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „ისტორიული მატერიალიზმი". 1913 წელს რამდენიმე თვით მუშაობდა პეტროგრადში სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში, შემდეგ კი არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში და ხელმძღვანელობდა არალეგალურ პარტიულ პრესას ჯერ ქუთაისში, 1914 წლიდან კი თბილისში. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო პარტიაში ნაციონალური საკითხის გადაჭრის მიზნით დისკუსიების ინიციატორი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა თბილისის მაზრის კომისრად. იმავე წელს იყო თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წევრი. 1917 წელს რსდმპ(მ) სიით აირჩიეს რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატად, მაგრამ პეტროგრადში გამგზავრებამდე ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს. 1917 წლის ნოემბერში ნოე რამიშვილი აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს და წევრად. 1918 წლის 22 აპრილს დაინიშნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად. იყო ბათუმის სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე ოსმალეთის იმპერიასთან მოლაპარაკებებისას. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს, იმავე დღეს აირჩიეს ახლადშექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველ თავმჯდომარედ. ამ პოსტზე 24 ივნისს შეცვალა ნოე ჟორდანიამ,[1] ხოლო ნოე რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა, განათლების და სამხედრო მინისტრად. 1918 წლის განმავლობაში იყო

პარლამენტის წევრი, ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, პარალელურად იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცკ–ის წევრი, თავჯდომარის ამხანაგი და პარტიულ გაზეთ „ერთობის“ რედაქტორი.

1919 წლის თებერვლიდან არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს ხმოსნად. 1919 წლის 12 მარტს აირჩიეს დამფუძნებელი კრების წევრად. მთავრობაში ეკავა შინაგან საქმეთა, ხოლო 1919 წლის განმავლობაში ასევე სამხედრო მინისტრის თანამდებობა. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ჯარის რეორგანიზაცია, სკოლის რეფორმა, კავშირგაბმულობის სფეროს განვითარება, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა თბილისის უნივერსიტეტის მიმართ. რამიშვილი ებრძოდა თბილისის სომხურ ბურჟუაზიას, ჩაახშო 1918 და 1919 წლების გლეხთა გამოსვლები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული. დამფუძნებელ კრებას დააშვებინა სიკვდილით დასჯა. მას ხშირად აკრიტიკებდნენ მკაცრი რეაქციის და დიქტატორული მისწრაფებების გამო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს, რამიშვილი საქართველოს მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. თავდაპირველად ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სენ–კლუში, შემდეგ ლევილის მამულში, 1929 წლიდან კი ფონტენეი ო როზში. თავის სარჩენად მოჰყავდა ბოსტანი. ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუწყვეტია. იყო ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში საქართველოს ოკუპაციის საკითხის პროპაგანდისთვის შექმნილი კომისიის წევრი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიური ორგანიზატორი. 1924 წლის სექტემბერში აჯანყების ჩახშობის შემდეგ საქართველოს სსრ-ის ხელისუფლებამ მოახდინა მისი ქონების კონფისკაცია. რამიშვილი აქტიურად იყო ჩართული პოლონეთის მიერ წარმოებულ ანტისაბჭოთა მოძრაობაში.

1930 წლის 7 დეკემბერის ქართველმა ემიგრანტმა პარმენ ჭანუყვაძემ ჩეკას დავალებით მოკლა პარიზში, იტალიის მოედანზე. დაკრძალეს ბანიოს სასაფლაოზე, შემდეგ კი გადაასვენეს ლევილში. საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა მისი ოჯახი, რომელიც საქართველოში იყო დარჩენილი. 1949 წელს ყაზახეთში გადაასახლეს ნოე რამიშვილის და, 87 წლის მართა რამიშვილი.